



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) სადამკვირვებლო მისია განახორციელებს მონიტორინგს მოლდავეთის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) ერთადერთი წევრია საქართველოდან. ENEMO-ის მისიის ფარგლებში „სამართლიანი არჩევნების“ ორი გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები დააკვირდებიან ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოლდავეთში, რომელიც გაიმართება 2009 წლის 29 ივლისს. ორგანიზაციის აკრედიტირებული გრძელვადიანი დამკვირვებლები 17 ივლისს გაემგზავრნენ მოლდავეთში და ახორციელებენ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, ხოლო მოკლევადიანი დამკვირვებლები გაემგზავრებიან არჩევნებამდე 2 დღით ადრე და დააკვირდებიან უშუალოდ არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესებს.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge